# დიდი ოქტომბრის 55-ე წლისთავის ზეიმმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ლენინური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურყევი ერთიანობა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 222 (4732)

1972 წ. 10 ნოემბერი, პარასკევი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



8 ნოემბერს თბილისში, საქართველოს სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის ტერიტორიაზე, დოსააფის რესპუბლიკურმა ავტო-მოტოკლუბმა და კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა მცირელიტრაჟიანი თვითნაკეთი მანქანების მესამე კონკურსი-დათვალიერება მოაწყვეს.

„დიდი პრიზი" ცეკავშირის სამხატვრო-საწარმოო კომბინატის მემაკეტე ა. საზონოვის მანქანამ დაისაკუთრა. პირველი პრიზი არავის მიუღია, მეორე პრიზი ცეკავშირის სატრანსპორტო განყოფილების უფროსი ინჟინრის გ. ზარიძის ნამუშევარს ხვდა, ხოლო მესამე — თბილისის მე-16 საშუალო სკოლის შრომის მასწავლებლის ნ. ნესტეროვის მანქანას.

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: კონკურს-დათვალიერების პრიზიორები (მარცხნიდან) გ. ზარიძე, ა. საზონოვი და ნ. ნესტეროვი; ფიგურული მართვის მოედანზე. ო. გელაშვილის ფოტოები.



8 ნოემბერი. მოსკოვის „დინამოს" სტადიონი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გამმეორებითი მერვედფინალური მატჩი: „სპარტაკი" (მოსკოვი) — „ატლეტიკო" (მადრიდი).

სურათზე სწორედ ამ შეხვედრის მომენტია აღბეჭდილი.

•

(ევროპული ტურნირებისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).



## კონტინენტის ჩემპიონატზე

თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი გიორგი ლომინაძე 16 წლისაა. ამ ჭაბუკს იურისპრუდენციაში თავი ჯერჯერობით არაფრით გამოუჩენია, მაგრამ სამთოსათხილამურო სპორტის მოყვარულნი და სპეციალისტები კარგად იცნობენ, როგორც სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ სპორტსმენს. შარშან მან საკავშირო ტურნირებში გამარჯვებით სპორტის ოსტატობა მოიპოვა.

გიორგისთვის წლევანდელი სეზონი საკმაოდ დატვირთული იქნება. ნაკრების სხვა წევრებთან ერთად იგი ერთხანს წახკაძორში ემზადებოდა, 18 ნოემბრიდან ტერსკოლში ივარჯიშებს, მერე, დეკემბრის პირველ ნახევარში, ალმა-ათას ეწვევა და სხვადასხვა ტურნირში იასპარეზებს. 3 იანვრიდან გიორგი ევროპის სარბიელზე გამოვა: ჯერ ბულგარეთში — საერთაშორისო მატჩში, მერე დასავლეთ გერმანიაში — კონტინენტის ჭაბუკთა ჩემპიონატში, იქიდან კი ჩეხოსლოვაკიას ეწვევა. სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრებისთვის დაგეგმილია მონაწილეობა იუგოსლავიისა და პოლონეთის საერთაშორისო ტურნირებში, რომლებიც მარტში მოეწყობა.

გიორგი ლომინაძე ყველა ამ დიდი სტარტისთვის მზადებას კარგა ხანია შეუდგა. იგი ზაფხულს უქმად არ ატარებდა — საერთო ფიზიკურ მომზადებაში ვარჯიშობდა. კუს ტბის გზატკეცილზეც ხშირად ნახავდით გორგოლაჭებიანი ციგურებით მოვარჯიშეს.

**ო. ივლოშვილი.**

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: გ. ლომინაძე მორიგი ვარჯიშის დროს.

მ. ზარგარიანის ფოტო.



## სწავლულთა იღბლიანი სტარტი

გომელში მშდ კომპლექსის ოქროს სამკერდე ნიშანი ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიიღო ბელორუსიის მეცნიერებათა აკადემიის ლითონპოლიმერული მექანიკის სისტემების ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ვ. ბელიმ. ახალი კომპლექსის ნორმატივები წარმატებით ჩააბარეს აგრეთვე ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა ა. სვირიდენოკმა, ო. იურკევიჩმა, ვ. სავკინმა და სხვ.

მძლეოსანთა ბოლო შეჯიბრებაში ინსტიტუტის 140 მუშაკი მონაწილეობდა. მათგან 80 კაცმა ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. მათთვის, ვისაც ახლა ხელი მოეცარა, დამატებითი საწვრთნელი მეცადინეობები მოეწყობა. ეს საქმე ასპირანტ ი. უსოვიჩს აბარია.

გომელი.

## ზამთრისთვის მზად არიან

არხანგელსკში მოეწყო შაბათობა, რომლის მონაწილენიც სპორტულ მოედნებს და ბაზებს ზამთრისთვის ამზადებდნენ. საქმეში ჩაება 70 ათასზე მეტი ენთუზიასტი. მათ მოაწყვეს ათობით ჰოკეის მოედანი ეზოებში, გააკეთეს საციგურაოები, საყრდენები სათხილამურო და საციგაო ტრასებისთვის.

არხანგელსკი.

## დეპუტატები — სპორტს

სმოლენსკის საქალაქო საბჭოს ფიზკულტურისა და სპორტის მუდმივი კომისია ოცზე მეტ დეპუტატს აერთიანებს. კომისიას ხელმძღვანელობენ ფიზკულტურის ინსტიტუტის რექტორი ი. პორეში და პედაგოგიური ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ო. სოლდატოვი.

დეპუტატები თავიანთ სხდომებზე მსჯელობენ ყოველდღიურ საჭირბოროტო საკითხებზე. ამას წინათ კომისიამ სასროლო სპორტის მდგომარეობაზე იმსჯელა და საქალაქო აღმასკომს სთხოვა გაისისთვის გეგმაში შეიტანონ დახურული ტირის მშენებლობა. განიხილეს ფიზკულტურის მდგომარეობა ერთ-ერთ სკოლაში და ორ საბავშვო ბაღში.

კომისიის წევრებმა დაიწყეს სათხილამურო და სხვა ბაზების შემოწმება.

სმოლენსკი.

## მწვრთნელი — დირექტორი

ველიკიე ლუკის პურის კომბინატის დირექტორის ბრძანებით, მშდ კომპლექსის დანერგვა დაევალა კომისიას, რომელსაც მეთაურობს ნ. ტულუპოვი, საწარმოში უაღრესად ავტორიტეტული კაცი, უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტი.

ამჟამად კომბინატში რამდენიმე სექცია მუშაობს, ტარდება შეჯიბრებები „მცოცავი გრაფიკით" — წარმოების სპეციფიკის გათვალისწინებით.

პირველ მეცადინეობას მშდ ახალი კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის კომბინატის დირექტორი რ. მანუკოვა ხელმძღვანელობდა. მისი მაგალითისამებრ მეცადინეობას შეუდგნენ წარმოების ვეტერანები ნ. ვასილიევა, ი. პუპლიაევა, მ. ბოჩენკოვა და სხვ.

კომბინატის ყოველმა მესამე მუშამ და მოსამსახურემ უკვე ჩააბარა მშდ კომპლექსის ნორმატივები. ველიკიე ლუკში პირველი ოქროს სამკერდე ნიშანი რ. მანუკოვას გადაეცა.

ველიკიე ლუკი.

• •

**სახელი ...**

## „დონბასი" იუგნოსის მწვერვალზე

დონეცკი. 4 ნოემბერს პამირ — ალაის მთებიდან დაბრუნდნენ მაღაროელი მთამსვლელები, მიწისქვეშა სამეფოს დამპყრობთა წინაშე ქედი მოიხარა იაგნობმაც, რომელიც კლასიფიკაციით უმაღლესი სირთულის მწვერვალია. დონეცკის გორკის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მუშა ვ. შატილოვი, ქვანახშირის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ტექნიკოსი ე. საპოგა, მაღაროთა გეოლოგიის სამმართველოს ოსტატი ვ. რუსანოვი და მათი ხელმძღვანელი, უკრაინის სსრ დამსახურებული მწვრთნელი ბ. ხივცოვი ზამთრის პირობებში პირველად ავიდნენ ამ მწვერვალზე. ამასთან, მთამსვლელებმა გაუკვალავი გზა აირჩიეს — ავიდნენ 4800-მეტრიანი დასავლეთის კედლით, რომლის მესამედიც შვეული კლდეა.

დიდი ოქტომბრის 55-ე წლისთავის აღსანიშნავად მწვერვალზე აფრიალდა მთამსვლელთა კლუბ „დონბასის" ალამი. ეს კლუბი მთამსვლელობის 10 ათას მოყვარულს აერთიანებს. ბოლო წლებში აქ მომზადდა 18 ოსტატი, ხოლო ოთხმა მეშახტე-მთამსვლელმა „თოვლის ჯიქის" სახელი დაიმსახურა.

● ბერგენი, 8 ნოემბერი. ტანმოვარჯიშეთა აქ გამართული ტრადიციული ტურნირი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლების ანტონინა კოშელისა და ალექსანდრე მალეევის გამარჯვებით აღინიშნა. კოშელმა ყველას აჯობა სამ სახეობასა და მრავალჭიდში (37,65 ქულა). II ადგილზე გავიდა ნორვეგიელი ი. შაუ — 35,30 ქულა. მალეევს მწვავე მეტოქეობა გაუწია ბერგენელმა ტანმოვარჯიშემ ტ. ლიმ. საბოლოოდ მალეევმა ქულათა უკეთესი ჯამი (53,70) დააგროვა. II ადგილზე გასული ლის შედეგია 53,10 ქულა.

● პრაღა, 8 ნოემბერი. დღეს აქ ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა ნაკრებმა ანგარიშით 10:4 (2:2, 5:2, 3:0) სძლია შვეციის ეროვნულ გუნდს. მატჩში გარდატეხა მოხდა 29-ე და 30-ე წუთებზე, როცა შვედებმა ორჯერ აიღო სტუმართა კარი.

ახალი სეზონი —72

საქართველოს სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების სპარტაკიადა

# ოცნება ოცნებად დარჩა

ცურვაში შეჯიბრება თავდაპირველად ქუთაისში იყო დაგეგმილი, მაგრამ ვინაიდან იქ წყლის გათბობის მოწესრიგებას საშველი არ დაადგა, ტურნირი ბათუმში გადაიტანეს. აჭარის სპორტის მესვეურებმა დროულად შეიტყვეს ეს ამბავი, მაგრამ ამ ავტორიტეტულ შეჯიბრებას საკადრისი მასპინძლობა ვერ გაუწიეს. სპორტსმენები და მსაჯები ბათუმში დილის 9 საათზე ჩავიდნენ.ის დღე მთლიანად დაბინავების მოლოდინში მიიწურა, „შრომითი რეზერვების" წარმომადგენლებს კი რის ვაივაგლახით მხოლოდ ღამის 11 საათზე (!) აღირსეს თავშესაფარი. სტუმართა აფორიაქებაში „დიდი წვლილი" შეიტანა სასტუმრო „კოლმეურნის" დირექციამ. სპორტსმენები. იმ ოთახებში შეასახლეს, სადაც რემონტი დამთავრებული არ იყო და არც წყალი მოდიოდა.

სტუმართა უმეტესობა „განთიადის" საწყლოსნო ბაზამ (უფროსი გ. კალანდაძე, იგი ასპარეზობის მთავარი მსაჯიც იყო) შეიკედლა. ყაზარმის მსგავსი შენობის სართულებიან საწოლებზე 20-40 ბავშვი მოათავსეს თითო ოთახში. იქვე შეასახლეს მსაჯებიც...

ცხადია, ასეთმა „მასპინძლობამ" გავლენა იქონია სპორტსმენთა შედეგებზე. ბევრმა მათგანმა საკუთარი მიღწევაც ვერ გაიმეორა. ეს სეზონის ბოლო შეჯიბრება იყო და თავი არავის დაუზოგავს. ბევრ სპორტსმენს ოსტატის ნორმატივის შესრულება სურდა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. ერთი სიტყვით, ოლიმპიური პროგრამით დაგეგმილი ეს ასპარეზობა მეტად უღიმღამო და უინტერესო გამოდგა. ტრიბუნებზე გულშემატკივართა სიმცირის მიზეზი კი ალბათ ისიც იყო, რომ რესპუბლიკის რჩეული სპორტსმენები იმ დღეებში თეირანში იყვნენ ირანელ მოცურავეებთან ამხანაგურ მატჩში საასპარეზოდ.

ბათუმში 171 სპორტსმენმა მოიყარა თავი („განთიადმა" 45 მონაწილე გამოიყვანა, „დინამომ" — 41, „სპარტაკმა" — 35, „შრომითმა რეზერვებმა" — 24, „ბურევესტნიკმა" — 16, „ლოკომოტივმა" — 10). სპორტსმენებს რამდენიმე დისტანციაზე შეეძლოთ გამოსვლა, თუმცა ზოგიერთ სახეობაში თითო ოროლა მოცურავე თუ გამოდიოდა სტარტზე. შეჯიბრება 1500 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში და 200 მეტრზე ბატერფლაით ქალთა შორის საერთოდ არ გამართულა, 200 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში ქალებიდან მხოლოდ ბათუმელი თ. დოლიძე („სპარტაკი") და თბილისელი ნ. შმილიკი („ბურევესტნიკი") გამოდიოდნენ. მათ შესაბამისად 2.43,7 და 3.05,4 აჩვენეს და გუნდებს ჩასათვლელი ქულაც ვერ მისცეს (ჩათვლას I თანრიგის შედეგი იძლეოდა). დოლიძე ერთადერთი მონაწილე იყო 400 და 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში. მან ჩათვლა პირველ დისტანციაზეც ვერ მიიღო (5.40,2), სამაგიეროდ, 800 მეტრზე 11.36,9 აჩვენა და 14 ქულა დაიმსახურა. მანვე უბრძოლველად მოიგო 400 მეტრზე კომპლექსური ცურვა — 6.15,1.

მოცილე არც თბილისელ ე. ხედიაკოვას („ბურევესტნიკი") ჰყოლია ბრასით 200 მეტრზე ცურვაში. ამ სპორტსმენმა მხოლოდ II თანრიგის ნორმატივი შეასრულა (3.17,3). 100 მეტრზე გულაღმა ცურვაში პირველობისთვის ორი განთიადელი იბრძოდა — ქუთაისელი ი. ზოტოვა და გაგრელი ს. ტიხონოვა. ზოტოვამ მანძილი ჩასათვლელ დროში გასცურა (1.19,7), ტიხონოვას კი 4,3 წამით უარესი შედეგი ჰქონდა. ეს უკანასკნელი 200 მეტრზე ცურვის სტარტზე აღარ გამოვიდა და ზოტოვამ ეულად გაიმარჯვა (2.50,6). ზოტოვა ერთადერთი მონაწილე იყო 100 მეტრზე ბატერფლაით ცურვაშიც — 1.18,0.

მონაწილეთა სიმრავლით ვერც ვაჟთა შეჯიბრება დაიქადნიდა. 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, მაგალითად, თბილისის დინამოელებს ვ. სნიმშჩიკოვსა და ვ. გონჩაროვს (შესაბამისად — 2.32,6 და 2.35,8) მეტოქეები არ ჰყოლიათ. 400 მეტრზე კომპლექსური ცურვაც ამავე გუნდის ორი წევრის ა. ივლევისა და ი. ტიშკინის მონაწილეობით დასრულდა (5.33,6 და 5.44,4). ივლევმა 200 მეტრზე ბრასით ცურვაც ერთ მეტოქესთან პაექრობაში მოიგო — 2.48,2: განთიადელი ა. ფეოქტისტოვი (თბილისი) გამარჯვებულს 2,6 წამით ჩამორჩა.

ამ ნაკლის მიუხედავად, თანატოლთა შეჯიბრებამ რამდენიმე ახალგაზრდა მოცურავეს განსაკუთრებული წარმატებაც მოუტანა. კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ქუთაისელმა მოსწავლემ ტ. კოსტირიოვამ („განთიადი"). ამ გოგონამ სამჯერ გაიმარჯვა, თბილისის 53-ე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე გ. გოდერძიშვილი კი ხუთჯერ ავიდა საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე. იგი სტარტზე ექვსჯერ გამოვიდა და მხოლოდ ერთხელ დასჯერდა II ადგილს.

ტრადიციულად ყველაზე მეტი საპრიზო [illegible] დინამოელმა მოცურავეებმა მოიპოვეს. გუნდმა 841,5 ქულა დააგროვა და 218 ქულით გაუსწრო II ადგილზე გასულ „განთიადის" სპორტსმენებს. 224 ქულით III ადგილზეა „სპარტაკი".

თ. გაჩეჩილაძე.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბათუმი.

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

# სარბიელზე პირველნი გამოვიდნენ



თბილისში „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის სარბიელზე პირველნი მილიციის საგზაო ზედამხედველობის თანამშრომლები გამოვიდნენ: უკვე 18 მარტს „ლოკომოტივის" სტადიონზე მათ სხუეიმო ვითარებაში ჩაატარეს შეჯიბრება მოკლე მანძილებზე რბენაში, ხტომაში, ტყორცნაში. გავიდა ხანი და ქვეგანყოფილების მთელმა პირადმა შემადგენლობამ მშდ კომპლექსის ყველა ნორმატივი ჩააბარა. ამ წარმატებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის წარსულში ცნობილ სპორტსმენს, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონსა და რეკორდსმენს ძალოსნობაში, სპორტის ოსტატ ა. ტატიშვილს — ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილეს. მის კაბინეტში პირველ ყოვლისა თვალში მოგხვდებათ მშდ კომპლექსის ნორმატივებისა და მოთხოვნების ცხრილი, ჩამბარებელთა სიები, პირადი შემადგენლობის ყველა წევრის მშდ კომპლექსის ბარათები.

ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადებაში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ქვეგანყოფილებებმა, სადაც უფროსებად კ. ოთარაშვილი, რ. ყურუა, ბ. ყვავიაშვილი, მ. ბაბაკი მუშაობენ. რასაკვირველია, მილიციის თანამშრომლებს ძალიან უწყობს ხელს კარგი ფიზიკური წრთობა. სპორტს ქვეგანყოფილებაში უდიდესი ყურადღება ექცევა. ყველასთვის სამაგალითონი არიან სსრ კავშირის ჩემპიონი სამბოში თ. მაღალთაძე, მისი ძმა, სპორტის ოსტატი ე. მაღალთაძე, სპორტის ოსტატები კ. ლაფერაშვილი, ვ. ლაზაშვილი და სხვ.

საქმის წარმატებას განსაკუთრებით იმან შეუწყო ხელი, რომ სხვებს მაგალითი უჩვენეს საგზაო ზედამხედველობის ქვეგანყოფილების უფროსმა ჯ. სხირტლაძემ, მისმა მოადგილეებმა ა. ტატიშვილმა, ზ. გიორგაძემ. ისინი პირველნი გამოვიდნენ სტარტზე.

— მალე მშდ კომპლექსის მრავალჭიდში გვექნება შეჯიბრება, — ამბობს ა. ტატიშვილი, რომელიც მშდ კომპლექსის კომისიის თავმჯდომარეა. — საერთოდ, გვინდა შეჯიბრებები ამ კომპლექსის პროგრამით ტრადიციად ვაქციოთ. გადაწყვეტილი გვაქვს ყოველ წელიწადს ხელახლა ჩავაბაროთ ყველა ნორმატივი.

ზ. ქვათაძე.

• • •

სურათზე: ა. ტატიშვილი.

სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

# ძნელი გზა გრძელდება

„როცა ქართველებს ახალგაზრდა ადამიანის დალოცვა სურთ, ასე ეტყვიან ხოლმე: ტკბილად დამიბერდიო!... მაგრამ დღეს შენ ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები გუნდის მართლაც საამაყო წევრი, ტოვებ ამ გუნდის რიგებს „სპორტული სიბერის" გამო. ასეთი „სიბერე" კი მართლაც ბედნიერებაა, ვინაიდან შენი სიცოცხლის უდიდესი ნაწილი ჯერ კიდევ ბედნიერად გასავლელი გაქვს, ის ნაწილი კი, რომელიც უკვე გაიარე, პატივით გამკობს, როგორც სამშობლოს წინაშე პატიოსნად ვალმოხდილ ვაჟკაცს!..." — ასე მიმართა ამ ოთხი წლის წინ ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატმა, დოცენტმა დ. ჩიკვაიძემ ქართული ტანვარჯიშის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს, სპორტის საპატიო ოსტატს, ოქრო-ვერცხლის მედლებით მკერდდამშვენებულ ნოდარ მაკალათიას, რომელიც სპორტულ სარბიელს სტოვებდა.



მანამდე საქართველოს ბევრი ბრწყინვალე ტანმოვარჯიშე ჰყავდა, მაგრამ არც ერთი მათგანი ასე ზეიმით არ გაუცილებიათ სარბიელის დატოვებისას. მაშინ ნოდარი 28 წლისა იყო და აქედან 17 წელი სპორტულ ასპარეზზე ჰქონდა გატარებული.

ნოდარმა ტანვარჯიშში მეცადინეობა მწვრთნელ ა. პაპალაშვილთან დაიწყო. ეს იყო 1952 წელს. მისი სპორტული ბიოგრაფიაც სწორედ ამ წლიდან იწყება. მას შემდეგ ვინ მოთვლის რამდენჯერ შეუდგამს ფეხი საპატიო კვარცხლბეკზე, რამდენი დიდი წარმატება მოუპოვებია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნ. ბახუტაშვილის ხელმძღვანელობით.

ეს მოხდა 1960 წელს რუმინეთის ღია ჩემპიონატში: ბუქარესტის ტანვარჯიშულ დარბაზში სამარისებური სიჩუმე იდგა. რუმინელები ყურადღებით ადევნებდნენ თვალს ქართველი სპორტსმენის ყოველ მოძრაობას, ვინაიდან მანამდე საკუთარი თვალით იხილეს თავიანთი ჩემპიონის, ბევრ საერთაშორისო შეხვედრაში გამობრძმედილი ნ. ორენდის დამარცხება თავისუფალ ვარჯიშში. და აი, ახლა ნოდარ მაკალათია ოქროს მეორე მედლის დასაკუთრებასაც ცდილობს.

შემდეგ იყო თეთრი ბილიკი, მუქი იარაღის სიახლოვე, მოზომილი ზუსტი ნახტომი და... ოქროს მედალი.

მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში „დინამოს" მონათესავე სპორტსაზოგადოებებმა რვაჯერ ჩაატარეს საერთაშორისო შეჯიბრება. ნოდარმა ყველა ტურნირში მიიღო მონაწილეობა და რვაჯერვე ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაიმშვენა მკერდი.

იგი 11 სახელმწიფოს სპორტულ სარბიელზეა გამოსული. მისი ვარჯიში გამოირჩეოდა გემოვნებით, დიდი სირთულით, მაღალი არტისტიზმით. მან ყველგან ღირსეულად დაიცვა ქართული სპორტის სახელი.

ნოდარი წლების მანძილზე სსრ კავშირის ნაკრების წევრი იყო. მას მოპოვებული აქვს 11 ოქროს, 10 ვერცხლის და 8 ბრინჯაოს მედალი როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო შეჯიბრებებში.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებაში აქტიური მონაწილეობისთვის ნ. მაკალათია დაჯილდოებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

ნოდარმა სწავლაშიც გამოიჩინა მუყაითობა და 1965 წელს თბილისის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა.

იგი 1967 წელს მივიდა შინაგან საქმეთა სამინისტროში და სამსახური დაიწყო კადრების სამმართველოში. აქ მან დიდი გამჭრიახობა და გულმოდგინება გამოავლინა. ამ გულმოდგინებისთვის სამინისტროს ხელმძღვანელობამ იგი, როგორც კარგი მუშაკი, აბაშის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილედ დანიშნა.

აღნიშნულ რაიონში მუშაობის პერიოდში ახალგაზრდა ჩეკისტმა ბევრი ბოროტმოქმედი, მუქთახორა და ხორცმეტი ჩამოაშორა საზოგადოებას. ერთ-ერთი მათგანი იყო ადგილობრივი მცხოვრები, საშიში დანაშაულისთვის უწინ ნასამართლევი გ. მელია, რომელმაც ხელმეორედ ჩაიდინა დანაშაული და სათანადო ორგანოები ეძებდნენ. ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბოროტმოქმედი დააკავა ოპერატიულმა ჯგუფმა, რომელსაც მილიციის უფროსი ლეიტენანტი ნ. მაკალათია ხელმძღვანელობდა.

წლეულს ნ. მაკალათია ისევ დაუბრუნდა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს — ამჟამად პირადი შემადგენლობის ინსპექციაში მუშაობს. იგი ავტორიტეტით სარგებლობს თანამშრომელთა შორის, როგორც ყოველმხრივ განათლებული კომუნისტი, კვალიფიციური სპეციალისტი.

...სარბიელიდან რომ აცილებდნენ, ნ. მაკალათიამ თავისი ერთ-ერთი ოქროს მედალი ბავშვთა ტანვარჯიშის ცენტრალურ სპორტსკოლას გადასცა. მაკალათიას პრიზზე ახლაც იმართება უმცროსი ასაკის ტანმოვარჯიშე ბიჭების შეჯიბრებები. ვინ იცის, იქნებ ამ მედალს სულ ახლო მომავალში დაეპატრონოს ნოდარის ვაჟი გიორგი, რომელიც უკვე დიდ სარბიელზე გამოსვლას ფიქრობს.

ვ. ქობელაშვილი.

• • •

სურათზე: ახე ასპარეზობდა ნ. მაკალათია.



# ახალი კომპლექსი შემოქმედებითს მიდგომას მოითხოვს

თელავის რაიონში წარმატებით მიმდინარეობს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება. ეს საყოველთაოსახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე „დინამოს", „სპარტაკის", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნის", „განთიადისა" და განათლების განყოფილების მესვეურთა ზრუნვის უპირველესი საგანი გახდა.

რაიონში 28 საშუალო და რვაწლიანი სკოლაა. სპორტული სკოლის დირექციამ (დირექტორი ა. კაპანაძე) დროულად შეიმუშავა გეგმა, მოსალოდნელი სირთულეები გაითვალისწინა და ნორმატივების ჩაბარება მასობრიობის დევიზით წარმართა — დაწესდა „მორბენლის დღე", „მხტომელის დღე" და ა. შ. ამ შეჯიბრებათა სარბიელზე მხოლოდ მოსწავლეები გამოდიან. 30, 60 და 100 მეტრზე რბენაში 2039 ბავშვი მონაწილეობდა, ოქროს სამკერდე ნიშანზე ნორმატივები 365 მოსწავლემ ჩააბარა, ვერცხლის ნიშანზე — 1254 ბავშვმა. მოეწყო მასობრივი კროსები 500 და 1000 მეტრზე. სკოლებში გაიშალა ფიზკულტურული მუშაობა დევიზით — „არც ერთი მოსწავლე მშდ კომპლექსის ნიშნის გარეშე".

ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად ყურადღება გამახვილდა კომპლექსის ნორმატივების ჩაბარებისთვის მზადების საკითხზე. ამ მხრივ თავი განსაკუთრებით გამოიჩინეს თელავის მე-4, მე-5 ქართულმა და რუსულმა, წინანდლის, ნაფარეულისა და რუისპირის საშუალო სკოლებმა.

ჩატარებული მუშაობის ანალიზმა გვიჩვენა, რომ საჭიროა ვეძიოთ ახალი ფორმები კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მოწყობის გაუმჯობესებისა და კონტროლის სრულყოფისთვის. აქამდე სპორტსკოლის დირექციას შესაძლებლობა არ ჰქონდა ზუსტად შეემოწმებინა სკოლებიდან შემოსული ინფორმაცია, დოკუმენტაცია, ცნობების სისწორე, ახლა თითოეული სკოლიდან 3-3 მოსწავლე ამოვარჩიეთ შესაბამისი საფეხურებისთვის. 300-მდე მოსწავლე ნორმატივებს აბარებდა მძლეოსნობასა და ტანვარჯიშში. ბავშვების წახალისების მიზნით შეჯიბრება შესაფერისად იყო რეკლამირებული, დაწესდა გარდამავალი თასი, დავასაჩუქრეთ გამარჯვებულნი. ამ ღონისძიებამ საშუალება მოგვცა წინასწარ წარმოდგენილი მასალები რეალური შედეგებისთვის შეგვედარებინა. ღონისძიებამ ხელი შეუწყო ნორმატივების ჩაბარების მოწყობას. მასწავლებლები და საზოგადოებრივი აქტივის წევრები, მშდ კომპლექსის კომისიის წევრები, რომლებიც ღონისძიებას ესწრებოდნენ, ამავე დროს სწავლობდნენ შეფასებას, ოქმების შევსებას...

სკოლის ამ თაოსნობამ სპორტული საზოგადოებების მხარდაჭერა ჰპოვა.

ნორმატივების საქმის წარმატებას ნაწილობრივ ხელს უშლის ის გარემოება, რომ ქალაქს საცურაო აუზი არა აქვს. რაიონის მოსწავლეებს, სტუდენტ ახალგაზრდობას და მუშა-მოსამსახურეებს უჭირთ ცურვაში ნორმატივების ჩაბარება.

ს. ოხანაშვილი.
(ჩვენი კორ.).

თელავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 28 | 15 | 8 | 5 | 48—26 | 38 |
| „დინ." (თბ.) | 30 | 12 | 11 | 7 | 41—34 | 35 |
| ცსკა | 30 | 15 | 4 | 11 | 37—33 | 34 |
| „ზენიტი" | 30 | 11 | 11 | 8 | 44—30 | 33 |
| „არარატი" | 29 | 11 | 10 | 8 | 37—29 | 32 |
| „დნეპრი" | 29 | 11 | 10 | 8 | 36—37 | 32 |
| „დინ." (მნ.) | 30 | 10 | 11 | 9 | 27—28 | 31 |
| „ტორპ." | 30 | 11 | 9 | 10 | 31—33 | 31 |
| „დინ." (კ.) | 27 | 10 | 10 | 7 | 43—31 | 30 |
| „დინ." (მ.) | 29 | 12 | 6 | 11 | 39—34 | 30 |
| ასკ | 29 | 8 | 10 | 11 | 29—32 | 26 |
| „ყაირ." | 30 | 6 | 14 | 10 | 23—27 | 26 |
| „სპარტ." | 27 | 8 | 8 | 11 | 27—27 | 24 |
| „კარპ." | 29 | 8 | 8 | 13 | 25—40 | 24 |
| „ლოკომოტ." | 30 | 6 | 9 | 15 | 29—48 | 21 |
| „ნეფთჩი" | 29 | 6 | 7 | 16 | 27—54 | 19 |

## I ლიგა

4 ნოემბერს შედგა ბოლო ტურის შეხვედრები: „სტროიტელი" (აშხაბადი) — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 2:0, „პამირი" (დუშანბე) — „ნისტრუ" (კიშინიოვი) 2:2, „შახტიორი" (ყარაგანდა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 1:2, „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) — „მეტალისტი" (ხარკოვი) 1:2, „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) — „ზვეზდა" (პერმი) 1:1, „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) — „დინამო" (ლენინგრადი) 4:2, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „კრივბასი" (კრივოი როგი) 3:1, „შახტიორი" (დონეცკი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 4:1, „ალგა" (ფრუნზე) — „ჩერნომორეცი" (ოდესა) 1:3.

I ლიგაში სულ ჩასატარებელია ორი მატჩი: „ფახთაქორი" უნდა შეხვდეს ქუთაისის „ტორპედოს" და დუშანბეს „პამირს".

დებულების თანახმად, საგაისოდ I ლიგას დატოვებენ სვერდლოვსკის „ურალმაში", კრივოი როგის „კრივბასი" და ლენინგრადის „დინამო".

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქ." | 36 | 23 | 7 | 6 | 71—32 | 53 |
| „შახტ." (დ.) | 38 | 19 | 13 | 6 | 57—21 | 51 |
| „ჩერნომ." | 38 | 20 | 8 | 10 | 67—36 | 48 |
| „კრ. სოვ." | 38 | 14 | 17 | 7 | 50—35 | 45 |
| „ზვეზდა" | 38 | 14 | 16 | 8 | 41—35 | 44 |
| „ტორპედო" | 37 | 18 | 6 | 13 | 47—32 | 42 |
| „შინიკი" | 38 | 15 | 10 | 13 | 39—44 | 40 |
| „პამირი" | 37 | 13 | 13 | 11 | 50—48 | 39 |
| „სპარტაკი" | 38 | 14 | 10 | 14 | 49—50 | 38 |
| „შახტ." (ყ.) | 38 | 11 | 13 | 14 | 37—48 | 35 |
| „ალგა" | 38 | 10 | 14 | 14 | 42—44 | 34 |
| „ნისტრუ" | 38 | 11 | 12 | 15 | 39—49 | 34 |
| „ტექსტილ." | 38 | 11 | 12 | 15 | 37—52 | 34 |
| „მეტალურ." | 38 | 13 | 7 | 18 | 45—49 | 33 |
| „ავტომობ." | 38 | 8 | 17 | 13 | 28—43 | 33 |
| „მეტალის." | 38 | 10 | 12 | 16 | 33—42 | 32 |
| „სტროიტ." | 38 | 11 | 10 | 17 | 36—55 | 32 |
| „ურალმ." | 38 | 11 | 9 | 18 | 38—58 | 31 |
| „კრივბასი" | 38 | 10 | 10 | 18 | 50—62 | 30 |
| „დინამო" | 38 | 7 | 14 | 17 | 32—53 | 28 |

## საბჭოთა გუნდები უცხოეთში

**ბურსა, 8 ნოემბერი.** მოსკოვის „ტორპედოს" ფეხბურთელთა გუნდმა თურქეთის ამ ქალაქში ანგარიშით 3:0 დაამარცხა ადგილობრივი „ბუდრსახპოუ". სამივე ბურთი შესვენების შემდეგ გავიდა.

**ბეირუთი, 8 ნოემბერი.** 3:2 — ასეთი ანგარიშით სძლიეს მოსკოვის „ლოკომოტივის" ფეხბურთელებმა ლიბანის „ტრიპოლის". მოსკოველები ლიბანში კიდევ ორ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

# ჭერჭერობით — ბრინჯაოს მედლები!

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 8 ნოემბერი.

„დინამო" (თბილისი) — „დინამო" (მინსკი) 2:0 (0:0).

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ: გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, პეტრიაშვილი, გავაშელი, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი, გ. ნოდია, ლ. ნოდია.

ᲛᲘᲜᲡᲙᲘ: ვერგიენკო, ბელოუსი, გირკო, სლოვაკი, კუზნეცოვი, კურნევი, ბოგოვიკი, პავლენკო (პოპკოვიჩი), ვასილიევი, ვორონინი, სახაროვი.

მსაჯი ვ. ჟარკოვი (მოსკოვი).

თბილისის „დინამო" 8 ნოემბრის მატჩისთვის კონკრეტული, სავსებით გარკვეული დილემის წინაშე იდგა: მას უნდა მოეგო თამაში, აუცილებლად მოეგო. ეს 2 ქულა დღის წესრიგიდან ხსნიდა ყოველგვარ სათუო საკითხს ბრინჯაოს მედლების თაობაზე. 35 ქულა ის გამსვლელი ბალი იყო, რომელიც უზრუნველყოფდა საპრიზო ადგილს და, მასთან ერთად, გაისად უეფა-ს ტურნირში მონაწილეობასაც. მართალია, მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში კიდევ რჩებოდა სხვადასხვა ვარიანტი, მაგრამ სავარიანტოდ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა საქმის მიგდება — საჭირო იყო მხოლოდ 2 ქულა.

ასეთი სატურნირო მდგომარეობა და პერსპექტივები თბილისის დინამოელებს აიძულებდა ებრძოლათ მთელი შესაძლებლობით, ძალთა სრული მობილიზებით. გუნდმა ასეც ითამაშა, მაგრამ სტუმრებმა ზუსტად ასეთივე მონდომება და თავგანწირვა გამოიჩინეს. რამ აიძულა მინსკის „დინამო" ასეთი თავგამოდებით ებრძოლა? ძნელი სათქმელია. შეიძლება იმ საეჭვო პერსპექტივამ, რომელიც მას ჰქონდა პირველ ხუთეულში მოსახვედრად, ან, საერთოდ, სპორტულმა ინტერესმა. ფაქტი კი ფაქტია: მინსკელები ისევე საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი, როგორც წინა მატჩში, როცა ვოროშილოვგრადში დაამარცხეს სსრ კავშირის ახალი ჩემპიონი „ზარია".

თბილისელთა იოლ მოგებას ამ მატჩში, რა თქმა უნდა, არავინ ელოდა, მაგრამ ასეთი გააფთრებული წინააღმდეგობა კი მოულოდნელი იყო. თბილისელებმა ისეთი მძლავრი იერიშებით დაიწყეს თამაში, რომ სტუმრებს თითქმის არ დაუტოვეს მდგომარეობის ხსნის არავითარი იმედი, მინსკელები კი, მეკარიდან მოყოლებული, დაუღალავად იგერიებდნენ ამ შტურმს, მოძრაობდნენ, იბრძოდნენ. განსაკუთრებით ძლიერი იყო დატვირთვა მარჯვენა ფლანგიდან გუცაევის, გავაშელის, ძოძუაშვილის, ასათიანის, მაჩაიძის მხრივ, შეტევაში ნახავდით ჰელიძესაც, ხურცილავასაც, მაგრამ სტუმართა ბასტიონები შეუვალი იყო. 15-20 წუთის მანძილზე მეტოქის კართან ათიოდე კუთხური მიაწოდეს, ბევრი სახიფათო მომენტი შეიქმნა შუშალოდ გარღვევებისა და კომბინაციების შემდეგაც, ორჯერ ლ. ნოდიას მიერ მარცხენა ფრთიდან მიწოდებულ ბურთს თითქოს შედეგი უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ გოლი არ ჩანდა და მასპინძლებს ისევ და ისევ თავიდან უხდებოდათ იერიშების წამოწყება.

ამ შეტევებს ბევრი ძალა და ენერგია დასჭირდა, ამიტომ ბოლო 15 წუთს თბილისელებმა ოდნავ შეანელეს ტემპი და მაშინვე სახაროვმა, ვასილიევმა, ბოგოვიკმა არ დააყოვნეს საპასუხო კონტრიერიშები.

მდგომარეობა უკიდურესად დაიძაბა. შედეგის მიღწევა საჭირო იყო მაშინვე, როგორც კი თამაში განახლდა შესვენების შემდეგ. თბილისელებმა ეს არ დააყოვნეს და შეტევაც ახალი ძალით გაჩაღდა. ვის არ ნახავდით სტუმართა საჯარიმო მოედანთან—ნახევარმცველებსაც, მცველებსაც, მაგრამ გავიდა 5, 10, 15 წუთი, გოლი კი კვლავ არ ჩანდა.

ამ კრიტიკულ სიტუაციაში გადამწყვეტი სიტყვა თქვა ჰელიძემ. 63-ე წუთზე გ. ნოდიას წინააღმდეგ უხეში თამაშისთვის კარიდან დაახლოებით 25 მეტრის მანძილზე საჯარიმო დაინიშნა. ასათიანმა ბურთი ჰელიძეს გაუგორა და ამ უკანასკნელის უძლიერესმა, ზუსტმა დარტყმამ პირველი წარმატება მოუტანა ჩვენს გუნდს. ვერგიენკომ ბურთი დაინახა, გადახტა კიდეც, მაგრამ მისი აღება შეუძლებელი იყო.

სტუმრები კარგა ხანს კვლავ ცდილობდნენ ეხსნათ მატჩი, მაგრამ, როცა 79-ე წუთზე ასათიანისგან მიღებული ბურთი გავაშელმა ძნელი მდგომარეობიდან ზუსტად გაგზავნა კარის შორეულ კუთხეში, ყველაფერი ნათელი შეიქნა. თბილისის „დინამომ" გაიმარჯვა და საბოლოოდ დაიმტკიცა III ადგილი წლევანდელ საკავშირო ჩემპიონატში, თუმცა, შეიძლება მოხდეს ისეც, რომ კიეველთა წარუმატებლობის შემთხვევაში ბრინჯაოს მედლები ვერცხლად იქცეს. საამისოდ კიევის „დინამომ" სამ დარჩენილ მატჩში 2 ქულა უნდა დაკარგოს. შეუძლებელი კი, როგორც იტყვიან, არაფერია...

**რ. ქორიძე.**

• • •



სურათზე: გარღვევაზეა თბილისელთა მარჯვენა გარემარბი გ. გუცაევი.

შ. ზარგარიანის ფოტო.

# ევროპულ ორბიტაზე

## სამივე საბჭოთა გუნდი ბრძოლას განაგრძობს

**ხოჟუვი, 8 ნოემბერი.** კიევის დინამოელებს აქ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა ჰქონდათ ზაბჟეს „გურნიკთან". პირველი თამაში კიეველებმა, როგორც ცნობილია, მოიგეს ანგარიშით 2:0 და, თუმცა დღეს დამარცხდნენ (1:2), ორი მატჩის ჯამში უპირატესობა მოიპოვეს და მეოთხედფინალში გავიდნენ.

ანგარიში 25-ე წუთზე გახსნა კიეველმა ბლოხინმა, ხოლო პოლონელთაგან ბურთები გაიტანეს ლიუბანსკიმ (30-ე წუთზე) და გორგონმა (62).

არბიტრმა მინდვრიდან გააძევა კიეველი მატვიენკო.

**მოსკოვი, 8 ნოემბერი.** საყოველთაო ინტერესს იწვევდა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშების განმეორებითი მერვედფინალური მატჩი: ადგილობრივი „სპარტაკი" — მადრიდის „ატლეტიკო".

ესპანელი ფეხბურთელები საკმაოდ ძნელი ამოცანის წინაშე იდგნენ, ვინაიდან თავიანთ მინდორზე წააგეს შეხვედრა „სპარტაკთან" ანგარიშით 3:4 და განმეორებითი თამაში ან 2 ბურთის უპირატესობით უნდა მოეგოთ, ან, სულ ცოტა, ისეთივე ანგარიშით, როგორითაც შინ დამარცხდნენ.

სტუმრები თითქოს ახლოს იყვნენ მიზანთან: ანგარიში მე-12 წუთზე გახსნა სალსედომ, რომელმაც 55-ე წუთზე მეორედ აიძულა „სპარტაკის" მეკარე დარვინი ბადიდან გამოეტანა ბურთი. მაგრამ 59-ე წუთზე მოსკოველთა კაპიტანმა ჰუსაინოვმა შეძლო საპასუხო ბურთის გატანა და ამ გოლის წყალობით „სპარტაკმა" მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

**ერევანი, 8 ნოემბერი.** ადგილობრივმა „არარატმა" მოიპოვა უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალში თამაშის უფლება მას შემდეგ, რაც ხელმეორედ დაამარცხა ციურიხის „გრასჰოპერსი", ამჯერად ანგარიშით 4:2 (პირველი მატჩი — 3:1).

მატჩის დაწყებისთანავე ერევნელთა კარში ხელით თამაშისთვის დაინიშნა 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა, რომელიც კარგად გამოიყენა გრობლიმ —1:0. შემდეგ — მე-13 და 23-ე წუთებზე ორი ბურთი გაიტანა კაზარიანმა და გუნდები ამ ანგარიშით წავიდნენ დასასვენებლად.

მეორე ტაიმში მარქაროვის ზუსტმა დარტყმამ მასპინძლები კიდევ უფრო დააწინაურა და, თუმცა მიულერმა შეძლო მეორე საპასუხო ბურთის გატანა, 78-ე წუთზე იმავე მარქაროვმა მეოთხედ აიღო სტუმართა კარი.

• •

სხვა მატჩები ასე დამთავრდა:

### ჩემპიონთა თასი

„ომონია" (ნიქოზია, კიპროსი) — „ბაიერნი" (მიუნჰენი, გფრ) 0:4 (პირველი მატჩი — 0:9)

„ბენფიკა" (ლისაბონი, პორტუგალია) — „დერბი ქაუნთი" (ინგლისი) 0:0 (0:3).

„მაგდებურგი" (გდრ) — „იუვენტუსი" (ტურინი, იტალია) 0:1 (0:1)

„უიპეშტ დოჟა" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „სელტიკი" (გლაზგო, შოტლანდია) 3:0 (1:2)

„ანდერლეხტი" (ბრიუსელი, ბელგია) — „სპარტაკი" (ტრნავა, ჩეხოსლოვაკია) 0:1 (0:1)

ცსკა-„სეპტემვრიისკო ზნამე" (სოფია, ბულგარეთი) — „აიაქსი" (ამსტერდამი, ჰოლანდია) — 1:3 (მეორე თამაში 29 ნოემბერს გაიმართება ამსტერდამში).

„რეალი" (მადრიდი, ესპანეთი) — „არჯესი" (პიტეშტი, რუმინეთი). ამ გუნდების მეორე თამაში 9 ნოემბერს ჩატარდება. რუმინეთში გამართულ პირველ მატჩში მასპინძლებმა იმარჯვეს — 2:1.

მეოთხედფინალში გავიდნენ: „ბაიერნი", „დერბი ქაუნთი", „იუვენტუსი", „უიპეშტ დოჟა", „სპარტაკი".

### თასების მფლობელთა თასი

„სპარტა" (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „ფერენცვაროში" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 4:1 (0:2)

„მილანი" (იტალია) — „ლეგია" (ვარშავა, პოლონეთი) 2:1 (1:1)

„რაპიდი" (ბუქარესტი, რუმინეთი) — „რაპიდი" (ვენა, ავსტრია) 3:1 (1:1)

„ჰაიდუკი" (სპლიტი, იუგოსლავია) — „რეკსჰემი" (უელსი) 2:0 (1:3)

„შალკე-04" (გელზენკირხენი, გფრ) — „ჰიბერნიენსი" (დუბლინი, ირლანდია) 3:0 (0:0)

„ბესა" (ალბანეთი) — „ჰიბერნიენი" (ედინბურგი, შოტლანდია) 1:1 (1:7)

„ლიდს იუნაიტედი" (ინგლისი) — „კარლ ცაისი" (იენა, გდრ) 2:0 (0:0)

მეოთხედფინალში გავიდნენ: „სპარტა", „მილანი", ბუქარესტის „რაპიდი", „ჰაიდუკი", „შალკე-04", „ჰიბერნიენი", „ლიდს იუნაიტედი".

### უეფა-ს თასი

I ჯგუფი

„სპარტაკ-ლევსკი" (სოფია, ბულგარეთი) — „დინამო" (ბერლინი, გდრ) 2:0 (0:3)

„ჰვიდოვრე" (დანია) — „ბორუსია" (მენჰენგლადბახი, გფრ) 1:3 (0:3)

„ოლიმპიაკოსი" (პირეოსი, საბერძნეთი) — „ტოტენჰემ ჰოტსპური" (ლონდონი, ინგლისი) 1:0 (0:4)

„ბრიუჟი" (ბელგია) — „პორტუ" (პორტუგალია) 3:2 (0:3)

II ჯგუფი

„ვალენსია" (ესპანეთი) — „ცრვენა ზვეზდა" (ბელგრადი, იუგოსლავია) 0:1 (1:3)

„ნორჩიოპინგი" (შვეცია) — „ინტერნაციონალე" (მილანი, იტალია) 0:2 (2:2)

„კიოლნი" (გფრ) — „ვიკინგი" (ნორვეგია) 9:1 (0:1)

„ჰონვედი" (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ბეროე" (ბულგარეთი) 1:0 (0:3)

III ჯგუფი

„ოფკ-ბელგრადი" (იუგოსლავია) — „ფეიენოორდი" (როტერდამი, ჰოლანდია) 2:1 (3:4)

აეკ (ათენი, საბერძნეთი) — „ლივერპული" (ინგლისი) 1:3 (0:3)

„ფიორენტინა" (ფლორენცია, იტალია) — „ვიტორია" (სეტუბალი, პორტუგალია) 2:1 (0:1)

IV ჯგუფი

„კაიზერსლაუტერნი" (გფრ) — „ბარეირენსე" (ბარეირუ, პორტუგალია) 0:1 (3:1)

„სლოვანი" (ბრატისლავა, ჩეხოსლოვაკია) — „ლას-პალმასი" (ესპანეთი) 0:1 (2:2)

„დინამო" (დრეზდენი, გდრ) — „რუხი" (ხოჟუვი, პოლონეთი) 3:0 (1:0)

„ტვენტე" (ენსჰედე, ჰოლანდია) — „ფრემი" (დანია) 4:0 (5:0)

მერვედფინალში გავიდნენ: ბერლინის „დინამო", „ბორუსია", „ტოტენჰემ ჰოტსპური", „პორტუ", „ცრვენა ზვეზდა", „ინტერნაციონალე", „კიოლნი", „ბეროე", „ოფკ-ბელგრადი", „ლივერპული", „ვიტორია", „კაიზერსლაუტერნი", „ლას-პალმასი", დრეზდენის „დინამო", „ტვენტე".

ჩემპიონთა თასისა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებებში მეოთხედფინალურ ეტაპამდე ხანგრძლივი არდადეგები მოეწყობა (ეს შეხვედრები დანიშნულია 1973 წლის 7 და 21 მარტისთვის), უეფა-ს თასის გათამაშების მონაწილენი კი კიდევ ერთ ტურს ჩაატარებენ, რათა ორ სხვა ტურნირს „დაეწიონ".

ევროპული ტურნირების შემდგომი ეტაპების წილისყრა ამ კვირის დამლევს მოეწყობა.

## ვეტერანის კრიზზე

5 ნოემბერს შედგა შ. შავგულიძის სახელობის თასის რესპუბლიკური გათამაშების მორიგი ტურის შეხვედრები.

ბათუმის „დინამომ" დიდი ანგარიშით (4:0) შეძლო ლანჩხუთის „გურიის" დამარცხება, ხოლო ფოთის „კოლხეთმა" და რუსთავის „მეტალურგმა" ფრედ ითამაშეს — 1:1.

სოხუმელი ფეხბურთელები არ გამოცხადდნენ მახარაძის „მერცხალთან" სათამაშოდ, რისთვისაც მათ წაგება ჩაეთვალათ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალ". | 9 | 4 | 4 | 1 | 13—10 | 12 |
| „გურია" | 9 | 4 | 3 | 2 | 14—14 | 11 |
| „დინ." (ბათ.) | 9 | 4 | 2 | 3 | 11—6 | 10 |
| „მერცხალი" | 8 | 2 | 5 | 1 | 4—4 | 9 |
| „კოლხეთი" | 8 | 2 | 3 | 3 | 8—9 | 7 |
| „დილა" | 8 | 2 | 3 | 3 | 7—8 | 7 |
| „დინ." (სოხ.) | 9 | 0 | 4 | 5 | 2—8 | 4 |

ჭადრაკი

# კისლოვა და კოზლოვსკაია—3,5-3,5 ქულა

ტოლიატი, 6 ნოემბერი. საინტერესო გამოდგა მოჭადრაკე ქალთა საკავშირო ჩემპიონატის IV ტურის შეხვედრა: ა. ეპშტეინი (გორკი) — ო. ანდრეევა (ხარკოვი). მეტოქეებმა სიცილიური დაცვის მწვავე ვარიანტი გაითამაშეს. შავებმა მხედარი შესწირეს ორ პაიკში და მძლავრი იერიში მიიღეს. ანდრეევა დამაჯერებლად თამაშობდა. ვითარება ტურის დამთავრებამდე გაირკვა: ეპშტეინმა მატერიალური დანაკლისი განიცადა და 39-ე სვლაზე საათი გააჩერა.

ამ ტურში მეორე შედეგი მხოლოდ პარტიის გადადების შემდეგ გახდა ცნობილი: ლ. სემიონოვა (კიევი) დანებდა ნ. კონოპლიოვას (მოსკოვი).

ექვსი პარტია გადაიდო. ო. კისლოვას (ომსკი) ზედმეტი პაიკი აქვს მ. შულთან (ლვოვი), ნ. მედიანიკოვას (მოსკოვი) — უკეთესი დაბოლოება ლ. შჩერბინასთან (სევასტოპოლი), მ. სამულს (ტალინი) — ლ. შადურასთან (კურსკი). დაახლოებით თანაბარ პოზიციაში შეწყდა ი. ლევიტინა (ლენინგრადი) — ლ. საუნინას (სვერდლოვსკი), ა. მკრტჩიან (ტაშკენტი) — მ. რანიკუს (ტალინი) და ე. რუბცოვა (მოსკოვი) — ლ. იდელჩიკის (ხარკოვი) შეხვედრები.

ტოლიატი, 8 ნოემბერი. V ტურის შეხვედრები მწვავე კომბინაციური ბრძოლით აღინიშნა. მხედრის საინტერესო შეწირვა განახორციელა შულმა ეპშტეინთან პარტიაში. მან დიდი პოზიციური უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ... სვლების თანმიმდევრობის არევის გამო უფიგუროდ (ორ პაიკში) დარჩა. ეპშტეინს აღარ გასჭირვებია უპირატესობის გამოყენება.

მხოლოდ 17 სვლა გაკეთდა კოზლოვსკაია — მკრტჩიანის შეხვედრაში: შავებმა კუ წააგეს დაფის ცენტრში.

რანიკუ თავიდანვე ენერგიულად უტევდა რუბცოვას მეფეს, მაგრამ რეალურს ვერაფერს მიაღწია. პაიკის შეწირვით რუბცოვამ შეძლო ინიციატივის ხელში ჩაგდება, მერე კი მატერიალური თანაფარდობაც აღადგინა. პარტია გადაიდო რუბცოვას უპირატესობით.

ბელოვამ მოუგო შადურას, მედიანიკოვამ — ანდრეევას, იდელჩიკმა — სამულს.

ყაიმზე შეთანხმდნენ ბორისენკო და კონოპლიოვა.

სამი პარტია გადაიდო: ზედმეტი პაიკები აქვთ ლევიტინას შჩერბინასთან, სემიონოვას კი კისლოვასთან. დაახლოებით თანაბარ ენდშპილში შეწყდა საუნინა — ბაჟინას შეხვედრა.

5 ტურის შემდეგ იდელჩიკს 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, ეპშტეინს — 3, ბელოვას — 2,5 (2).

ტოლიატი, 9 ნოემბერი. პირველ ხუთ ტურში გამოტოვებული და გადადებული პარტიების დამთავრებამ მოწინავე ჯგუფში საბოლოო სიცხადე შეიტანა, თუმცა 16 პარტიიდან მხოლოდ 11 დასრულდა. შადურა თამაშის განუახლებლად დანებდა სამულს. ორი პარტია წააგო შულმა: სემიონოვასთან და კისლოვასთან. ლევიტინამ წააგო საუნინასთან, შჩერბინას კი მოუგო. რუბცოვამ დაამარცხა იდელჩიკი.

ყაიმით დამთავრდა პარტიები: ბორისენკო — სამული, მედიანიკოვა — შჩერბინა, სემიონოვა — კისლოვა.

ხუთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა მკრტჩიან — რანიკუს პარტია. გაიმარჯვა მკრტჩიანმა.

გათამაშდა ორი გამოტოვებული პარტიაც: ბელოვა — კონოპლიოვა და ბაჟინა — კოზლოვსკაია. შავებმა სწრაფად მოახერხეს პოზიციის გათანაბრება და იერიშზეც გადავიდნენ. შესვენებისთვის კოზლოვსკაიამ ბაჟინას სძლია, მეორე პარტია კი კონოპლიოვას თვალსაჩინო უპირატესობით გადაიდო.

ხუთი ტურის შემდეგ სატურნირო ცხრილს სათავეში ჩაუდგნენ საერთაშორისო ოსტატები კისლოვა და კოზლოვსკაია, რომლებსაც 3,5-3,5 ქულა აქვთ.

# ყოველმხრივ სასარგებლო

სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში დამთავრდა პიონერთა სასახლეების მოჭადრაკეთა ტურნირი.

—ასეთი შეჯიბრება პირველად მოეწყო და ძალიან საინტერესო პრინციპითაც ჩატარდა. ჩემი აზრით, იგი სასარგებლო აღმოჩნდა არა მარტო ბავშვებისთვის, არამედ, საერთოდ, ჭადრაკისთვისაც, — თქვა ტურნირის დამთავრების შემდეგ მთავარმა არბიტრმა, მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა მ. ბოტვინიკმა.

შეჯიბრებამ, რომელშიც დიდოსტატებიც მონაწილეობდნენ, მართლაც განუზომელი ინტერესი გამოიწვია. რასაკვირველია, პიონერებმა და მოსწავლეებმა, რომლებიც საჭადრაკო დაფებთან გამოჩენილ დიდოსტატებთან ერთად მიუსხდნენ, დიდი ენთუზიაზმი და მონდომება გამოიჩინეს.

გავახსენებთ, რომ ტურნირში მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, კიევის, რიგის, თბილისისა და ჩელიაბინსკის პიონერთა სასახლეების 6 გუნდი ამ სასახლეთა აღზრდილების — ვ. სმისლოვის, ბ. სპასკის, დ. ბრონშტეინის, მ. ტალის, ტ. პეტროსიანისა და ა. კარპოვის ხელმძღვანელობით.

თითოეული გუნდი ყოველ საღამოს სეანსში ხვდებოდა ერთ-ერთ დიდოსტატს, ხოლო „მისი" დიდოსტატი ამ დროს სხვა გუნდთან თამაშობდა. ბავშვებისა და დიდოსტატების ქულებს ერთად აჯამებდნენ.

ხუთი ტურის ჯამში გაიმარჯვეს მოსკოველებმა, რომელთაც 35,5 ქულა დააგროვეს. აქედან ბავშვებმა 10,5 ქულა მიიღეს, დანარჩენი კი სმისლოვის ანგარიშზეა.

შემდეგ მოდიან ლენინგრადელები — 32,5, რიგელები — 30,5, კიეველები და ჩელიაბინსკელები — 27,5-27,5, თბილისელები — 26,5.

დიდოსტატთა შედეგები: ტალი — 25,5 ქულა 30-დან, სმისლოვი — 25, პეტროსიანი — 24,5, სპასკი — 24, კარპოვი — 23,5, ბრონშტეინი — 21.

მოსკოვის გუნდის სახელით სმისლოვთან ერთად გამოდიოდნენ ოსტატობის კანდიდატები, X კლასის მოსწავლეები: ვ. ჩეხოვი (281-ე სკოლა), დ. ლოსევი (745-ე), ს. კიშნიოვი (676-ე); პირველთანრიგოსნები: ს. გორელოვი (მე-2 სკოლის IX კლასის მოსწავლე), ს. ვეტროვი (262-ე სკოლა) და ს პეკერი (31-ე სკოლის VII კლასის მოსწავლე). სხვათა შორის, სწორედ პეკერმა, რომელიც ბოლო, მეექვსე დაფაზე თამაშობდა, მიაღწია აბსოლუტურად საუკეთესო შედეგს დიდოსტატებთან სეანსებში — 3 ქულა 5 შესაძლებლიდან. მან მოუგო ბრონშტეინსა და ტალს, ხოლო კარპოვთან და პეტროსიანთან შეხვედრები ყაიმით დაამთავრა.

2,5-2,5 ქულა აქვს ოთხ ახალგაზრდა მოჭადრაკეს. ესენი არიან ლენინგრადელები, IX კლასის მოსწავლეები, ოსტატობის კანდიდატი ა. იუსუპოვი (მოგება სმისლოვთან და ბრონშტეინთან, ყაიმი კარპოვთან), პირველთანრიგოსანი ა. სოჩაგინი (გამარჯვება კარპოვთან, ყაიმი სმისლოვთან, ტალთან და ბრონშტეინთან), მოსკოველთა ლიდერი ჩეხოვი (მოგება სპასკისთან და კარპოვთან, ყაიმი ბრონშტეინთან), აგრეთვე, კიევის გუნდის წევრი, პირველ დაფაზე მოთამაშე ლ. ზაიდი — VIII კლასის მოსწავლე, ოსტატობის კანდიდატი (გამარჯვება პეტროსიანთან, ყაიმი კარპოვთან; სმისლოვთან და სპასკისთან).

სულ ახალგაზრდებმა 12 შეხვედრა მოიგეს, ხოლო 49 პარტია ყაიმით დაამთავრეს.

ახალგაზრდა მოსკოველების შემდეგ, რომელთაც დიდოსტატებთან ყველაზე მეტი ქულა დააგროვეს, მოდიან: ლენინგრადელები — 8,5, კიეველები — 6,5, რიგელები — 5, ჩელიაბინსკელები — 4, თბილისელები — 2.

მოსწავლეთა გუნდებში თამაშობდა ერთი ოსტატი (ლენინგრადელი ა. კოჩიევი, 16 წლისა) და ცხრა ოსტატობის კანდიდატი. დანარჩენები პირველთანრიგოსნები იყვნენ.

განვლილი შეჯიბრების მონაწილეთა შორის ყველაზე უფროსია ჩეხოვი (დაბადებულია 1955 წელს), ყველაზე უმცროსები — რიგელი ზ. ლანკა, თბილისელები ი. ეფიმოვი და ა. წულაძე (1960 წ.).

სხვათა შორის, ეფიმოვი მშვენივრად თამაშობდა. მან ყაიმით დაამთავრა შეხვედრები თვით ბრონშტეინთან და ტალთან.

შეჯიბრების საზეიმო დახურვა მოსკოვის პიონერთა სასახლეში მოეწყო. ტურნირის მონაწილეებს გულთბილად მიესალმა საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. ტიაჟელნიკოვი. შეჯიბრების მონაწილე ყველა დიდოსტატს, აგრეთვე, მთავარ არბიტრს მ. ბოტვინიკს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო ჯილდოები გადასცეს. ის გუნდები და მონაწილეები, რომელთაც საუკეთესო შედეგებს მიაღწიეს, საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის, „კომსომოლსკაია პრავდის", „პიონერსკაია პრავდის" და „მოსკოვსკი კომსომოლეცის", აგრეთვე, სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის სამახსოვრო პრიზებით დაჯილდოვდნენ.

ვ. ბაბკინი.

მოსკოვი, 6 ნოემბერი.



## ობიექტივში მსოფლიო

- ორი სარბიელი: რინგი და საესტრადო სცენა
- ვარჯიშობენ... თვალახვეულნი

სპორტული სამყარო ინტერესით ელის პროფესიული კრივის ორი საუკეთესო წარმომადგენლის — მსოფლიო ჩემპიონის ჯო ფრეზიერისა და მსოფლიოს ექს-ჩემპიონის მუჰამედ ალის მომავალ ბრძოლას.

ამ ორი უძლიერესი მძიმეწონოსანი მოკრივის ცხოვრებას ბურჟუაზიული პრესა დიდ ყურადღებას უთმობს. ასე იყო ამჯერადაც, როცა თავისი პატარა საესტრადო ორკესტრით ფრეზიერმა ევროპის ბევრი ქვეყანა შემოიარა. გასტროლებს დიდი წარმატება ხვდა.

ამ სურათზე აღბეჭდილი არიან ჯ. ფრეზიერი (მას თავისი ორკესტრის ორი მომღერალი ქალი აუყვანია ხელში) და ორკესტრის წევრები.

კაფ — იუნიფაქსის ფოტო.



ამ სურათზე სამთომთხილამურეთა წვრთნის ერთი საინტერესო ეპიზოდია აღბეჭდილი: ცნობილი ფრანგი სპორტსმენები ა. ვამოზი და ი. მირი საპოროს თეთრი სტარტებისთვის სამზადისის დროს ტანვარჯიშულ დვირზე მეცადინეობენ... თვალახვეულები. მწვრთნელ ლ. ზობეს აზრით, ამგვარი ვარჯიში სამთომთხილამურეებს კარგ კოორდინაციას გამოუმუშავებს.

ფოტო ჯადაღებულია კიბერონის საწვრთნელ ბაზაზე, სადაც საფრანგეთის ნაკრები ოლიმპიადისათვის ემზადებოდა. ნაკრების წევრები დილაობით თხილამურებით ვარჯიშობდნენ, შემდეგ დიდ დროს ფიზიკურ მომზადებას უთმობდნენ. თამაშობდნენ აგრეთვე ფრენბურთს, ფეხბურთს და სხვ.

ფრანს პრესის ფოტო.

# საჯდენი მოტოციკლზე

ფეხბურთი

# დასკვნითი შეხვედრების მოლოდინში

უჟგოროდი, 8 ნოემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). დაასრულს უახლოვდება ჭაბუკ ფეხბურთელთა საკავშირო ფინალური ასპარეზობა.

თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს III ტურში ძალიან საპასუხისმგებლო შეხვედრა ჰქონდა ცსკა-სთან. ბრძოლა შეუპოვარი და საინტერესო იყო. ქართველმა ფეხბურთელებმა საუცხოოდ ჩაატარეს მატჩი და გაიმარჯვეს ანგარიშით 2:0. არმიელთა კარში ორივე ბურთი, გაიტანა გაგუამ. მას გარდა ჩვენს გუნდში შესანიშნავად ითამაშეს მეკარე მაყაშვილმა, მცველმა ჩოხიშვილმა, ნახევარმცველმა ჩხაიძემ და თავდამსხმელმა გიგოლაშვილმა.

ამ ტურში მოსკოვის ოლქის „შრომითი რეზერვების" გუნდმა ანგარიშით 2:1 დაამარცხა უჟგოროდელები, ხოლო ფრუნზეს სპორტსკოლისა და კიევის „სპორტინტერნატის" შეხვედრა ფრედ დამთავრდა — 0:0.

მომდევნო ტურში თბილისელებმა კვლავ გაიმარჯვეს, ამჯერად ანგარიშით 1:0. მათი მეტოქე იყო „შრომითი რეზერვები". გოლი ისევ გაგუამ გაიტანა.

—კიეველთა შეხვედრა ცსკა-სთან ფრედ (0:0) დამთავრდა, ხოლო ფრუნზელებმა დაამარცხეს უჟგოროდის გუნდი — 2:1.

10 ნოემბერი გათამაშების დასკვნითი დღეა. გადამწყვეტი მატჩების წინ თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდს 7 ქულა აქვს, ხოლო ფრუნზეს სპორტსკოლას — 6. ჩვენი ფეხბურთელები ხვდებიან უჟგოროდელებს, ხოლო ფრუნზელები — ცსკა-ს.

ნ. ამირეჯიბი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

### გასწორება

ჩვენი გაზეთის წინა ნომრის მეოთხე გვერდზე გამოქვეყნებული მასალის — „პირველი ოლიმპიური მერცხალი" — მესამე სვეტის მეოთხე აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „პრესაში უკვე ბევრი რამ დაიწერა საბედისწერო სამ წამზე..." — და შემდეგ როგორც ტექსტშია.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008), დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორი — 99 66 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 61, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 62, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 66, სპორტული განყოფილება — 99 66 47, 93 97 68, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 66, ჭადრაკის განყოფილება — 93 97 67, წერილების განყოფილება — 93 97 64, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 98 93 81, კორექტორები — 93 97 49.